სტანდარტული სააბონენტო ხელშეკრულება

„სატელევიზიო სატრანზიტო მომსახურება“

(სახელმწიფო ორგანო ან/და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი ან იურიდიული პირი აბონენტ(ებ)ისთვის)

1. ტერმინთა განმარტება:

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს, ამ „ხელშეკრულების“ მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა (თუ „ხელშეკრულებით“ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს):

1.1 „ხელშეკრულება“ – სატრანზიტო მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულება.

1.2 „მომსახურება“ – მაუწყებლობის სატრანზიტო (IPTV) მომსახურება.

1.3 „აბონენტი“ – სახელმწიფო ორგანო ან/და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი ან იურიდიული პირი (რომელიც წარმოადგენს ბოლო მომხმარებელს და რომელსაც ეკრძალება „მომსახურების“ შემდგომი გადაყიდვა ან/და სხვაგვარად „მესამე პირებისათვის“ მიწოდება), რომლის სახელი/სახელწოდება, საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა სახის ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე „ხელშეკრულებაში“.

1.4 „აბონენტის ნომერი“ – „ოპერატორის“ მიერ „აბონენტისათვის“ მინიჭებული პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელზეც ხორციელდება „მომსახურების ღირებულების“ დარიცხვა ან/და გადახდა-წინასწარ გადახდა.

1.5 „კოდური სიტყვა“ – სიტყვების, ასოების ან/და ციფრების, კომბინაცია, რომელიც ემსახურება „აბონენტის“ იდენტიფიცირებას და რომელიც მითითებულია „განაცხადში“-„ელექტრონულ განაცხადში“.

1.6 „საკონტაქტო ინფორმაცია“ – „აბონენტის“ მიერ „ხელშეკრულებაში“ დაფიქსირებული ფიქსირებული/მობილური კავშირის ნომერი ან/და ელექტრონული ფოსტა.

1.7 „განაცხადი“ ან/და „ელექტრონული განაცხადი“ – „აბონენტის“ მიერ შევსებული განაცხადის ფორმა რომელშიც შედის “აბონენტის” მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, ასევე „აბონენტის“ მიერ არჩეული მომსახურება და მომსახურების პაკეტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). “აბონენტის” ელექტრონულ მოწყობილობაზე გამოსული ელექტრონული განაცხადის ფორმა, რომელსაც ავსებს “აბონენტი” და შეჰყავს მასში “აბონენტის” მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, ასევე „აბონენტის“ მიერ არჩეული მომსახურება და მომსახურების პაკეტი.

1.8 „სააბონენტო ანგარიში“ – „ოპერატორის“ მიერ „აბონენტის“ სახელზე გახსნილი ვირტუალური პირადი ანგარიში, რომელზეც ხდება მომსახურების ღირებულების დარიცხვა ან/და გადახდა.

1.9 „კომისია“ - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

1.10 „სამუშაო დღე“ – შაბათის, კვირის ან „კანონმდებლობით“ დადგენილი ოფიციალური უქმე დღეების გარდა.

1.11 „კანონმდებლობა“ – საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;

1.12 „მომსახურების სატარიფო გეგმა“/„სატარიფო გეგმა“ - „მომსახურების“ პაკეტი/გეგმა (რაც მათ შორის, მოიცავს „მომსახურების“ ღირებულებას, პირობებს და „მომსახურებაში“ შემავალ სერვისებს, მომსახურების დროებით შეჩერებისა და აღდგენის საფასურებს), რომელსაც „ოპერატორი“ ზოგადად სთავაზობს თავის აბონენტებს. „სატარიფო გეგმის“ დეტალური ჩამონათვალი/აღწერილობა მოცემულია სატარიფო ცხრილში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე “ხელშეკრულების“ დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

1.13 „მომსახურების ღირებულება“ – „აბონენტის“ მიერ კონკრეტულად არჩეული სატელევიზიო მომსახურების პაკეტის ღირებულება „სატარიფო გეგმიდან“, რომელიც მათ შორის მოიცავს „აბონენტის“ მიერ არჩეული მომსახურების პაკეტის ღირებულებას ან/და „მომსახურების“ გააქტიურების ღირებულებას ან/და დროებით შეჩერების ღირებულებას. მომსახურებების ღირებულების გადახდა ხდება შემდგომი გადახდის სისტემით, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვში. დამატებითი პაკეტის/ არხის არჩევის შემთხვევაში, შესაბამისი ღირებულების დარიცხვა მოხდება პაკეტის/არხის გააქტიურებისთანავე, ხოლო გადახდა მოხდება სააბონენტო გადასახდელთან ერთად.

1.15 „ტრაფიკი“ – საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით, დროის მოცემულ მონაკვეთში გადაცემული მონაცემების (სიგნალების, გზავნილების, პაკეტების და ა.შ.) ერთობლიობა.

1.16 „მესამე პირი“ – ნებისმიერი პირი, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმომწერებისა.

1.17 „მხარე/მხარეები“ – „აბონენტი“ და „ოპერატორი“, კონტექსტის შესაბამისად.

1.18 „ვერიფიკაციის კოდი“ - აბონენტის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე ან ელექტრონულ მისამართზე “ოპერატორის” მიერ გაგზავნილი ერთჯერადი დროებითი კოდი, რომელიც წარმოადგენს ციფრების, ასოების ან/და სიტყვების კომბინაციას, რომელიც “აბონენტმა” უნდა შეიყვანოს “აპლიკაციის” შესაბამის ველში წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისა და “მომსახურების” გააქტიურების მიზნით.

1.19 „პრომო აქცია“ – „ოპერატორის“ მიერ შესაბამისი „მომსახურებების ღირებულების“ ან/და „მომსახურების“ სხვა მახასიათებლების დროებითი ცვლილება ამგვარი „პრომო აქცი(ებ)ის“ ფარგლებში და ვადით.

1.20 „აპლიკაცია“ – **„INTER TV“**-ის Android ტელევიზიის აპლიკაცია, რომლის ჩამოტვირთვაც აბონენტ(ებ)ს შეუძლია მის კუთვნილ Android ტელევიზორზე Google Play-ის მაღაზიიდან ან/და **„INTER TV“-ს** მოწყობილობა.

1.21 „ხარისხიანი მომსახურება“ – უწყვეტად (გარდა „ხელშეკრულებითა“ და კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა) მიწოდებული მომსახურება „ოპერატორის“ მიერ შეთავაზებული მომსახურების პაკეტის ან/და მოცულობის შესაბამისად.

1.22 „ოპერატორი“ - **შპს „ინტერ თრეიდინგ კომპანი“,** დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო კოდი: **405220924**, მისამართი: **საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჟიული შარტავას ქ., №45, ბ. 2**

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, „ოპერატორი“ „აბონენტს“ გაუწევს მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურებას, რომლის მიწოდების დეტალური პირობები მოცემულია ამ „ხელშეკრულებაში“. აღნიშნული „მომსახურების“ სანაცვლოდ, „აბონენტი“ ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი „მომსახურების ღირებულება“ და სხვა გადასახდელები, წინამდებარე „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესით.

2.2 მომსახურების ფასიანი პაკეტის შესაძენად აუცილებელია მომხმარებლის მიერ წინამდებარე წესით გათვალისწინებული რეგისტრაციისა და ავტორიზაციის გავლა. ამასთან მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა, რეგისტრაციის და ავტორიზაციის გარეშე, გარკვეულ ტერიტორიაზე, მობილური აპლიკაციის საშუალებით, უყუროს “INTER TV” მიერ განსაზღვრულ გარკვეულ არაკომერციულ (ისეთი კონტენტი, რომელიც მომხმარებლისთვის ზოგადად ხელმისაწვდომია დამატებითი ანაზღაურების გარეშე ინტერნეტ სივრცეში) კონტენტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამასთან აღნიშნულთან ერთად, რეგისტრაცია/ავტორიზაციის შემდეგ, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, გარკვეულ ტერიტორიაზე საცდელ რეჟიმში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში უყუროს სხვა კონტენტსაც (ასეთი არსებობის შემთხვევაში)

2.3 „აბონენტის“ მიერ „ელექტრონულ განაცხადში“ მიეთითება „აბონენტის“ სახელი/სახელწოდება, გვარი, პირადი ნომერი ან/და საინდენთიფიკაციო ნომერი, დაბადების თარიღი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

2.4 არსებულ „აბონენტს“, რომელსაც უკვე აქვს მინიჭებული „INTER TV“-ის „აბონენტის ნომერი“ „მომსახურების“ „აპლიკაციით“ გააქტიურება შეუძლია „ელექტრონული განაცხადის“ შესაბამის ველში თავისი „აბონენტის ნომრის“ მითითებით.

2.5 არსებულ „აბონენტს“ არ შეუძლია „აპლიკაციით“ სარგებლობა იმ ტელევიზორზე, რომელზეც ინსტალირებულია პოზიტივი-ს ტელევიზიის აპარტურა და მომსახურება მიეწოდება სწორედ ამ აპარატურის გამოყენებით.

2.6 „აბონენტს“ „ელექტრონულ განაცხადში“ მითითებულ სატელეფონო ნომერზე ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართზე ეგზავნება „ვერიფიკაციის კოდი“ „აბონენტის“ საბოლოო ვერიფიკაციისა და “ხელშეკრულების” გაფორმების მიზნებისთვის, რომლის “ელექტრონული განაცხადის” შესაბამის ველში შეყვანისა და დადასტურების შემდგომ “აბონენტი” შეძლებს „მომსახურებით“ სარგებლობას.

2.7 ოპერატორი არანაირი სახით არ აგებს პასუხს იმ შემთხვევებზე, როდესაც მომხმარებელი რეგისტრაციისას მიუთითებთ არასწორ ან არასრულ ინფორმაციას (მისამართი, ელ. ფოსტა, ტელეფონის ნომერი და სხვ). აღნიშნულით გამოწვეულ ყველა შედეგზე, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს

2.8 წინამდებარე „ხელშეკრულებაზე“ დათანხმებით „აბონენტი“ აგრეთვე ეთანხმება მის წესებსა და პირობებს. თუ „აბონენტი“ გაეცნო და ეთანხმება წინამდებარე „ხელშეკრულების“ პირობებს, იგი აგრეთვე ადასტურებს, რომ მის მიერ “აპლიკაციით” სარგებლობა არ არღვევს მისი სარგებლობის რომელიმე პირობას.

2.9 „აბონენტს“ შეუძლია პაკეტ „ძირითადთან“ ერთად დამატებით გაიაქტიუროს „მომსახურების“ სხვა პაკეტებიც (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც სატარიფო განაკვეთთან და მათში შემავალი ტელეარხების ჩამონათვალთან ერთად მოცემულია www.intertv.ge - ზე.

2.10 „მომსახურების“, მათ შორის, ცალკეული დამატებითი მომსახურებების მიღების შესაძლებლობა, რომელსაც „ოპერატორი“ სთავაზობს „აბონენტს“, შესაძლოა დამოკიდებული იყოს აბონენტის კუთვნილ ტელევიზორზე და მის გამართულ ფუნქციონირებაზე. წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურება“ ხორციელდება ამ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული პირობების საფუძველზე.

2.11 „აბონენტის“ მიერ „მომსახურების“ კონკრეტული პაკეტის ჩართვა, აგრეთვე დამატებითი მომსახურების აქტივაცია და შესაბამისი „მომსახურების“/დამატებითი მომსახურების მიღება გულისხმობს, რომ „აბონენტი“ დეტალურად იცნობს მის პირობებს და აცხადებს უპირობო თანხმობას აღნიშნული „მომსახურების“/დამატებითი მომსახურების პირობების შესრულებაზე.

2.12 „ოპერატორი“ მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, „ძირითად“ პაკეტში შემავალ ზოგიერთ ტელეარხზე „აბონენტს“ სთავაზობს EPG, Pause TV, Watch from the begining, Timeshift ფუნქციებს, რომელთა პირობებს განსაზღვრავს თავად. აღნიშნული ფუნქციები განსხვავდება სხვადასხვა ტელეარხის მიხედვით. „ოპერატორი“ არ იღებს ვალდებულებას, რომ ყველა ტელეარხზე შესაძლებელი იქნება აღნიშნული ფუნქციებით სარგებლობა. აღნიშნული ფუნქციებით სარგებლობა ცალკეულ შემთხვევებში დამოკიდებულია ტელეარხის/კონტენტის მომწოდებლების სანებართვო პირობასა და ოპერატორის ტექნოლოგიურ შესაძლებლობებზე. Timeshift, PauseTV, Watch from the begining, EPG ფუნქციები არ წარმოადგენს მომსახურების სავალდებულო ნაწილს, შესაბამისად, „ოპერატორი“ არ იღებს პასუხისმგებლობას აბონენტის მიერ აღნიშნული ფუნქციებით სარგებლობის შესაძლებლობაზე/უწყვეტობაზე. ამასთან, სხვადასხვა ტელეარხისთვის დრო და დრო შესაძლოა გაუქმდეს აღნიშნული ფუნქციები, ასევე

შეიცვალოს გადახვევის ხანგრძლივობა, რაზეც „ოპერატორი“ აბონენტს არ გაუგზავნის შეტყობინებას.

2.13 „მომსახურების“ გარდა, აღნიშნულ მომსახურებასთან დაკავშირებით ან მის საფუძველზე და ფარგლებში, დამატებითი პირობების შესაბამისად „აბონენტისთვის“ „ოპერატორის“ მიერ შესაძლებელია დრო და დრო შეთავაზებულ იქნას დამატებითი მომსახურებები. დამატებითი მომსახურების გაწევის პირობები განთავსდება წინამდებარე „ხელშეკრულებაში“ მითითებულ ვებგვერდზე ან/და გამოტანილ იქნება შესაბამისი ტელევიზორის ეკრანზე.

2.14 მოქმედი სატელევიზიო არხების ჩამონათვალს, ასევე ძირითადი და დამატებითი მომსახურების სახეების, ტარიფების, „მომსახურების“ შეზღუდვის/აღდგენის/შეწყვეტის და სხვა პირობების შესახებ ინფორმაციას „აბონენტი“ დამატებით შეიძლება გაეცნოს ოპერატორის ოფიციალურ ვებ-გვერდ(ებ)ზე ან ცხელ ხაზზე.

3. ქსელში ჩართვის და მომსახურების პირობები

3.1 „ხელშეკრულება“ ძალაში შედის „აბონენტის“ მიერ „ელექტრონულ განაცხადში“ „ოპერატორისგან“ მის კუთვნილ ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ვერიფიკაციის კოდის შეყვანისა და მისი დადასტურების მომენტიდან (შემდგომში „ვერიფიკაცია“). წინამდებარე „ხელშეკრულებაზე“ დათანხმებითა და „ვერიფიკაციით“ „აბონენტი“ ადასტურებს, რომ ეთანხმება წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ პირობებს.

3.2 ერთი და იმავე მომხმარებლის სახელით (username) და პაროლით ავტორიზაცია ვებ გვერდზე და/ან მობილური მოწყობილობის აპლიკაციაში დასაშვებია შეუზღუდავად, თუმცა ერთი და იმავე მომხმარებლის სახელით (username) და პაროლით შესაძლებელია „ფასიანი პაკეტით“ განსაზღვრული კონტენტის არაუმეტეს ორი ერთდროული (პარალელურ რეჟიმში) ყურება. მესამე პარალელურ რეჟიმში ყურების მცდელობისას, მომხმარებელი ისარგებლებს იგივე უფლებებით, რაც აქვს დაურეგისტრირებელ აბონენტს (ანუ ექნება მხოლოდ არაკომერციული კონტენტის (ასეთის არსებობისას) ყურების შესაძლებლობა.

3.3 მომსახურების ქსელში ჩართვისა და მომსახურების მიღების უზრუნველსაყოფად ოპერატორი აბონენტს, ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში გადასცემს „აპლიკაციით” პირადი, არაკომერციული მიზნით სარგებლობის არაექსკლუზიური უფლებას. “აპლიკაცია” როგორც სრულად, ასევე მისი შემადგენელი კომპონენტების სახით, როგორიცაა პროგრამული უზრუნველყოფა, დიზაინი, ლოგო, სახელწოდება და სხვა, წარმოადგენს “ოპერატორის” საკუთრებას ან მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს და „აბონენტს“ მოცემული „აპლიკაციით“ სარგებლობის პერიოდში არ გადაეცემა რაიმე უფლება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე.

3.4 მომხმარებლის მიერ, ყოველი მეორე და მომდევნო „ფასიანი პაკეტის“ შეძენა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), არ იწვევს წინა შეძენილი ფასიანი პაკეტის ავტომატურად გაუქმებას/დეაქტივაციას (თუ ახლად შეძენილი „ფასიანი პაკეტი“ სხვა რამეს არ ითვალისწინებს) და შესაბამისად, აღნიშნულისთვის (წინა „ფასიანი პაკეტი“) განსაზღვრული სააბონენტო გადასახადის დარიცხვის შეწყვეტას.

3.5 თავდაპირველად შერჩეული მომსახურების პაკეტის შემდგომში ცვლილებისას არ ხდება რაიმე ფორმის დოკუმენტის გაფორმება. ოპერატორი მომსახურების პაკეტის ცვლილებას ახორციელებს აბონენტის მიერ ცხელ ხაზზე განხორციელებული ზარის საფუძველზე, აბონენტის მიერ კოდური სიტყვის დასახელების შემდგომ.

3.6 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შესაძლებელია ოპერატორის მიერ აბონენტისთვის შეთავაზებულ იქნას მომსახურების მიწოდება სხვადასხვა მეთოდითა და მიღების ფორმით რა შემთხვევაშიც აბონენტის მიერ ამგვარი მომსახურებით სარგებლობა უპირობოდ ნიშნავს შესაბამის პირობებზე დათანხმებასა და ოპერატორის დაშვებას შესაბამის ქსელსა და რესურსზე.

4. მომსახურების ხარისხი

4.1 ოპერატორი უზრუნველყოფს მომსახურების მაღალი ხარისხით მიწოდებას, მაგრამ გარანტიას არ იძლევა, რომ მომსახურება იქნება სრულიად შეუფერხებელი ან მუდმივად ხელმისაწვდომი.

4.2 აბონენტისთვის ცნობილია, რომ „INTER TV”-ის IPTV მომსახურების უწყვეტად მიწოდებისთვის იგი უნდა სარგებლობდეს ნებისმიერი ინტერნეტ პროვაიდერის მომსახურებით მინიმუმ 5 მბ/წ ინტერნეტის მოცულობით. შესაბამისად, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, „INTER TV”-ის IPTV მომსახურების მიწოდება და მისი ხარისხი დამოკიდებულია ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლების მოწყობილობების და მათი ფუნქციონირების ხარისხზე,

4.3 გარდა გადაუდებელი სარემონტო თუ პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობის, ოპერატორი აბონენტს მიაწვდის „ხარისხიან მომსახურებას“ დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში, და კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილ ტექნიკურ ნორმების, სტანდარტების და ოპერატორის სალიცენზიო პირობების შესაბამისი.

4.4 ოპერატორი გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლო და ხელმისაწვდომ რესურსსა და საშუალებას, რათა უზრუნველყოს შეკვეთილი მომსახურების ხელმისაწვდომობა წლიური ისეთი მაჩვენებლით, რაც გულისხმობს ყოველი სრული საანგარიშო პერიოდის თვის განმავლობაში მომსახურების ჯამში არაუმეტეს 24 საათიან შეწყვეტას (რა დროსაც გათიშული და ხელმიუწვდომელია მთლიანად მომსახურება) და რომლისთვისაც ოპერატორს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა. ამასთან, აბონენტისათვის მომსახურების აღნიშნული მაჩვენებლით მიწოდების შემთხვევაში მომსახურება ჩაითვლება უწყვეტად და ჯეროვნად მიწოდებულად.

4.5 ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული დათქმებისა და გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინებით, თუ მომსახურების წყვეტის ხანგრძლივობა („INTER TV”-ის IPTV მომსახურების შემთხვევაში) გადასცდა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროს, მაშინ ოპერატორი აბონენტს, აბონენტის შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, საკომპენსაციო პირობის სახით სააბონენტო ანგარიშზე გაუაქტიურებს სააბონენტო

ლიმიტს, რომელიც ტოლია შესაბამისი წყვეტის დროის პროპორციული სააბონენტო ღირებულების ოდენობის.

4.6 ოპერატორი ვალდებულია, ინფორმაცია მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების შესახებ, შეინახოს მინიმუმ შემდგომი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ოპერატორი აცხადებს და აბონენტმა იცის (თანახმაა), რომ ოპერატორს შესაძლოა, არ ჰქონდეს ტექნიკური შესაძლებლობა აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ შეინახოს ეს ინფორმაცია.

5. დაზიანების აღმოფხვრის წესი და ვადა

5.1 მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების დრო დაითვლება ოპერატორის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით შეტყობინების მიღებიდან მისი აღმოფხვრის მომენტამდე.

5.2 აბონენტმა მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების თუ დაზიანების შესახებ ოპერატორს უნდა შეატყობინოს ცხელ-ხაზზე დაფიქსირებული შეტყობინებით ან/და ელექტრონული ფოსტის ან/და ოპერატორის მიერ განსაზღვრულ სერვისცენტრში წარდგენილი წერილობითი განცხადებით.

5.3 ოპერატორი ვალდებულია აღმოფხვრას დაზიანება, რომლის შედეგად აბონენტს შეფერხებით ან საერთოდ არ მიეწოდება შეკვეთილი მომსახურება (არ იგულისხმება გადაუდებელი სარემონტო თუ პროფილაქტიკური სამუშაოები) და რომლის აღმოფხვრის ვალდებულება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ეკისრება ოპერატორს. ამასთან, ოპერატორი ვალდებულია, აბონენტის ზემოაღნიშნული შეტყობინების/განცხადების მიღებიდან დაზიანება აღმოფხვრას გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს, ასეთი დაზიანების აღმოფხვრისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადისა. თუ კონკრეტული ტიპის დაზიანების აღმოფხვრის ვადას „რეგლამენტი“ არ ითვალისწინებს, „ოპერატორი“ უფლებამოსილია აღმოფხვრას დაზიანება „აბონენტისაგან“ შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა. დაზიანების აღმოფხვრა წარმოებს მხოლოდ სამუშაო დღეებში და შაბათს (თუ შაბათი არ არის უქმე დღე), დილის 9-დან საღამოს 6 საათამდე.

5.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ოპერატორი უფლებამოსილია დრო და დრო ჩაატაროს ქსელისა ან/და ინფრასტრუქტურის ან/და “აპლიკაციაში” ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფისა და ფუნქციონალის გადაუდებელი სარემონტო ან/და პროფილაქტიკური სამუშაოები, რომელთაც შესაძლებელია მოჰყვეს მომსახურების შეჩერება, შეზღუდვა ან შეფერხებები და რომელიც ემსახურება მომსახურების ხარისხის შენარჩუნებას/გაუმჯობესებას, ან გამიზნულია ქსელის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ახალი ტექნოლოგიების დასანერგად. ოპერატორი გამოიყენებს ყველა გონივრულ საშუალებას/შესაძლებლობას, რათა ამგვარი სამუშაოები აწარმოოს 23:00 დან 07:00 საათის პერიოდშ, თუმცა გარანტიას არ/ვერ იძლევა რომ ეს ყოველთვის იქნება შესაძლებელი ან მიზანშეწონილი. დაგეგმილი პროფილაქტიკური სამუშაოების შესახებ აბონენტის შეტყობინება განხორციელდება წინასწარ, ხოლო გადაუდებელი სამუშაოების შემთხვევაში პირველი შესაძლებლობისთანავე. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ პუნქტის მიზნებისათვის შეტყობინებად ითვლება შესაბამისი ინფორმაციის განთავსება ოპერატორის ვებგვერდზე, სერვის-ცენტრში, ინდივიდუალური შეტყობინება სმს-ის სახით, სატელევიზიო შეტყობინება და სხვა. ამასთან, აბონენტი აღიარებს და თანახმაა, რომ ოპერატორს არ შეიძლება დაეკისროს რაიმე სახის პასუხიმგებლობა ამ პუნქტით განსაზღვრული სამუშაოების დროს წარმოშობილ მომსახურების წყვეტებსა თუ შეფერხებებზე.

5.5 აბონენტის მიზეზით მომხდარი ნებისმიერი დაზიანება თუ გარემოება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ოპერატორის მიერ აბონენტისათვის მომსახურების მიწოდების შეფერხება ან შეწყვეტა, არ ათავისუფლებს აბონენტს სააბონენტო გადახდისაგან.

5.6 იმ შემთხვევაში, როდესაც დაზიანება ოპერატორის მხარესაა, ოპერატორი ვალდებულია მსგავსი დაზიანება აღმოფხვრას აბონენტისათვის დამატებითი ფინანსური ვალდებულების წარმოშობის გარეშე. ოპერატორი არ არის ვალდებული აბონენტის ტელევიზორთად დაკავშირებული ან მისი უშუალო ქმედებით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში საკუთარი ხარჯით გამოასწოროს არსებული დაზიანება.

6. მომსახურების მიწოდების შეზღუდვა, დროებით შეჩერება, აღდგენა და შეწყვეტის პირობები

6.1 ოპერატორს უფლება აქვს „აბონენტის“ წინასწარი გაფრთხილების გარეშე, შეწყვიტოს/გააუქმოს ან/და შეაჩეროს „მომსახურება“ იმ შემთხვევაში, თუ

6.1.1 „მოსახურების“ აპლიკაციით სარგებლობა/აპლიკაცის გამოყენება/აპლიკაციაზე წვდომა/ „ფასიანი პაკეტით“ სარგებლობა/საცდელ რეჟიმში/არაკომერციული კონტენტის ყურება შესაძლებელია/დასაშვებია მხოლოდ წინამდებარე წესების დაცვით/წინამდებარე წესების ფარგლებში, შესაბამისად, „მომსახურების“ „აპლიკაციის ფასიანი პაკეტის“ /საცდელ რეჟიმში გავრცელებული კონტენტის გამოყენება ან/და ამ ყველაფერთან წვდომა აღნიშნული წესების დარღვევით (ნებისმიერი ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესებით/პირობებით, ასევე, ნებისმიერი ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც აკრძალულია წინამდებარე წესებით პირობებით), ჩაითვლება არასანქცირებულ/უკანონო გამოყენებად/წვდომად და ოპერატორს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მოახდინოს „მომსახურების“/ „ფასიანი პაკეტის“/საცდელ რეჟიმში გავრცელებული კონტენტის შეჩერება/გაუქმება, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა რეაგირება.

6.1.2 არსებობს ეჭვი იმისა, რომ „მომსახურების“ აპლიკაციით სარგებლობს არაუფლებამოსილი პირი ან/და აბონენტი „მომსახურების“ აპლიკაციას („ფასიან პაკეტს“) /საცდელ რეჟიმში გავრცელებულ/არაკომერციულ კონტენტს იყენებს კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობისათვის.

6.2 აბონენტის მიერ ოპერატორისათვის გადასახდელი ნებისმიერი თანხის (მომსახურების საფასური, დამატებითი მომსახურების ფარგლებში დარიცხული საფასური და ნებისმიერი სხვა დავალიანება) დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით

განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში ოპერატორი უფლებამოსილია შეუზღუდოს აბონენტს მომსახურების მიწოდება, აბონენტის მხრიდან ასეთი დავალიანების დაფარვამდე. ამასთან, დავალიანების არსებობიდან გამომდინარე მომსახურების შეზღუდვის თაობაზე აბონენტს ეცნობება საკონტაქტო ნომერზე გაგზავნილი ან/და ტელევიზორის ეკრანზე გამოსახული მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.

6.3 მომსახურების შეზღუდვა ავტომატურად იწვევს დამატებითი მომსახურებების შეზღუდვას, თუ დამატებითი მომსახურების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6.4 ოპერატორი უფლებამოსილია შეუზღუდოს აბონენტს მომსახურების მიწოდება, თუ:

6.4.1 მომსახურების მიწოდება შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული გარემოებების გამო;

6.4.2 აბონენტი არ იცავს ხელშეკრულებით განსაზღვრულ წესებს, მათ შორის, დროულად არ იხდის მიწოდებული მომსახურების საფასურს;

6.4.3 აბონენტი იყენებს ან ცდილობს გამოიყენოს მომსახურება არაკანონიერი მიზნებისათვის ან არაკანონიერი გზით მიიღოს მომსახურება;

6.4.4 ადგილი აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობის წესების დარღვევას. ამ შემთხვევაში მომსახურების მიწოდება ნაწილობრივ ან სრულად შეჩერდება ზემოაღნიშნული ქმედების ეფექტურად და დროულად აღსაკვეთად;

6.4.5 აბონენტის ქმედება საფრთხეს უქმნის ოპერატორის საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ფუნქციონირებას, მთლიანობას ან უსაფრთხოებას ან ოპერატორის სხვა აბონენტს უზღუდავს მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურებების გამოყენების შესაძლებლობას ან ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ან მომსახურების გამოყენებით სხვაგვარად აყენებს ზიანს ან ასეთ საფრთხეს უქმნის ოპერატორს ან მის აბონენტებს. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობის შემთხვევაში, ოპერატორი უფლებამოსილია შეუზღუდოს აბონენტს მომსახურების მიწოდება ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

6.5 მომსახურების შეზღუდვის პერიოდში მომსახურების განახლება შესაძლებელია მხოლოდ ყოველთვიური საფასურის, აღდგენის საფასურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სხვა დავალიანების გადახდის, ან მომსახურების შეზღუდვის სხვა საფუძვლის აღმოფხვრისას, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში

6.6 ოპერატორი უფლებამოსილია, შეწყვიტოს შეკვეთილი მომსახურება მთლიანად ან ნაწილობრივ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი ხდება აბონენტისათვის შეკვეთილი მომსახურების მიწოდება ობიექტური მიზეზების გამო, რაც შეიძლება იყოს, მაგალითად, მომსახურების მიწოდების საკომუნიკაციო ქსელის მნიშვნელოვანი დაზიანება, შესაბამისი ტექნიკური საშუალებების განადგურება/არქონა, ლიცენზიის, ნებართვის, ავტორიზაციის გაუქმება/შეჩერება, კონკრეტული მომსახურების მიწოდების სრულად შეწყვეტა ან მისი არსებითი მოდიფიცირება და სხვა.

6.7 აბონენტს უფლება აქვს, ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის დაცვით, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს მომსახურება, დავალიანების სრულად დაფარვის შემდეგ.

6.8 შეკვეთილი მომსახურების/ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტი არ ათავისუფლებს აბონენტს შეწყვეტის თარიღისათვის ოპერატორის მიმართ დაგროვილი და გადაუხდელი დავალიანების გადახდის ვალდებულებისაგან ასეთის არსებობის შემთხვევაში.

6.9 გააქტიურებული მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტს უუქმდება ამ ხელშეკრულების შესაბამისად და ფარგლებში დარიცხული/ჩართული ნებისმიერი სახის საჩუქარი, შეღავათი, ქულა, აქცია, ფასდაკლება და სხვა ასეთის არსებობის შემთხვევაში, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული კონკრეტული აქციის და შეთავაზების პირობებით.

6.10 „აბონენტი“ უფლებამოსილია ისარგებლოს „მომსახურების“ დროებით შეჩერების მომსახურებით „ოპერატორის“ ცხელ-ხაზზე განაცხადის გაკეთების გზით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მომსახურების შეჩერება და შემდგომში მისი აღდგენა არის ფასიანი და აბონენტი უფლებამოსილია გადაიხადოს შეჩერება/აღდგენის საფასური „სატარიფო გეგმაში“ მითითებული ოდენობით. მომსახურების დროებით შეჩერებისთვის აუცილებელია, მომსახურების შესაბამის საბონენტო ანგარიშზე არ ირიცხებოდეს დავალიანება.

7. მომსახურების ცვლილებები და დამატებები

7.1 ოპერატორს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს, მომხმარებლის წინასწარი გაფრთხილების გარეშე, მოახდინოს სისტემის (აპლიკაციის) განახლება/გაუმჯობესება (UPDATE), ფუნქციონალის დამატება/გამოკლება, დიზაინისა და სტრუქტურის ცვლილება

7.2 ოპერატორი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს მომსახურების ნებისმიერი პირობა, მთლიანი ხელშეკრულება, პირობები, მომსახურების ღირებულება, ტარიფი, ფუნქციები, ვადები, დაამატოს ახალი და გააუქმოს ძველი წესები, ამ მუხლით განსაზღვრული წესის დაცვით.

7.3 ოპერატორი ვალდებულია აბონენტს, სულ მცირე 1 (ერთი) თვით ადრე ინდივიდუალური შეტყობინებით მიაწოდოს ინფორმაცია აბონენტს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილების შესახებ, მათ შორის, მომსახურების ტარიფების ზრდის შესახებ. ოპერატორი უფლებამოსილია არ დაიცვას ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადა და შეტყობინების წესი იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ აბონენტისთვის დაწესებული მომსახურების ახალი პირობები აუმჯობესებს აბონენტის უფლებრივ მდგომარეობას ან/და გამოწვეულია ისეთი საკანონმდებლო ცვლილებებით ან ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ახალი რეგულაციებით, რომელთა ძალაში შესვლის თარიღის გამო შეუძლებელია ამ ვადის დაცვა. ყველა ასეთ სხვა შემთხვევაში ოპერატორის ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება ჩაითვლება აბონენტის შეტყობინებად.

7.4 თუ „აბონენტი“ ოპერატორის მიერ მიღებული შეტყობინებით გათვალისწინებული ცვლილებების ძალაში შესვლის დრომდე არ განაცხადებს წერილობით უარს შეცვლილი პირობების მისთვის მიუღებლობის შესახებ, ჩაითვლება, რომ „აბონენტი“ თანახმაა ოპერატორის მიერ შეთავაზებულ ამგვარ ცვლილებებზე, ხოლო დადგენილ ვადაში „აბონენტის“ მიერ უარის გაცხადების შემთხვევაში ოპერატორი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება რა შემთხვევაშიც აბონენტი ვეღარ შეძლებს მომსახურებით სარგებლობის გაგრძელებას.

7.5 ოპერატორის მიერ „აბონენტისათვის გაგზავნილი შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული აბონენტის ხელმოწერით, რაიმე დოკუმენტით (ქვითარი და სხვა) ან/და შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიჩნეულ უნდა იქნას სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად: კურიერის ან საფოსტო გზავნილის გაგზავნის შემთხვევაში გაგზავნიდან მე-5 კალენდარულ დღეს, მობილურის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ან ელ. ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში გაგზავნის დროს ან სატელევიზიო შეტყობინების გაგზავნის დროს. მოკლე ტექსტური, ელ. ფოსტით ან/და სატელევიზიო შეტყობინების გაგზავნილი შეტყობინება გაგზავნილად მიიჩნევა ოპერატორის ქსელიდან გაგზავნის დადასტურების ფაქტით. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ ოპერატორს შეტყობინება დაუბრუნდება აბონენტის ადგილსამყოფლის არ არსებობის გამო, აბონენტი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას.

7.6 მომსახურების მიმღები მოწყობილობის ეკრანზე გამოტანილი შეტყობინება, შეთანხმება ან შეთავაზება, რომელიც საჭიროებს აბონენტის მხრიდან მიღების ფაქტის დადასტურებას, შესაბამისი თანხმობის ღილაკის (OK) დაჭერის შემთხვევაში ჩაითვლება აბონენტის თანხმობად, რაც უთანაბრდება პირად/ფიზიკურ ხელმოწერას და აქვს იგივე იურიდიული ძალა/შედეგი. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა შეიზღუდოს მომსახურების მიწოდება შესაბამისი თანხმობის/უარის მიღებამდე და აღნიშნული არ ჩაითვლება მომსახურების შეზღუდვად

7.7 „INTER TV”-ის IPTV სატელევიზიო მომსახურებასთან დაკავშირებით, არსებული ფუნქციების დროებით შეჩერებასთან (გარდა Timeshift, PauseTV, Watch from the begining, EPG ფუნქციებისა) ან შეზღუდვასთან დაკავშირებით აბონენტის გაფრთხილება მოხდება „აპლიკაციაზე“ ოპერატორის მიერ შეტყობინების გაგზავნით, რომელიც გამოისახება ტელევიზორის ეკრანზე.

7.8 თუ აბონენტი ოპერატორისგან მიღებული შეტყობინებით (მათ შორის ინდივიდუალური შეტყობინებით) გათვალისწინებული ცვლილებების/დამატებების ძალაში შესვლის დრომდე (თარიღამდე) არ განაცხადებს უარს შეცვლილ პირობებზე, ჩაითვლება რომ აბონენტი თანახმაა ოპერატორის მიერ შემოთავაზებულ შეცვლილ პირობებზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი შეტყობინებით გათვალისწინებულ ვადაში უარს განაცხადებს შემოთავაზებულ ცვლილებებზე, ოპერატორი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ან შეწყვიტოს იმ მომსახურების მიწოდება, რომელსაც ეხება ცვლილება/დამატება.

7.9 აბონენტის ოპერატორთან დისტანციური კომუნიკაციისას გამოყენებული იქნება “ელექტრონულ განაცხადში” მოცემული საკონტაქტო ინფორმაცია, აგრეთვე საკონტაქტო მობილურზე აბონენტის მოთხოვნით გაგზავნილი კოდური სიტყვა.

8. მომსახურების საფასური, ანაზღაურება და ანაზღაურების წესი

8.1 აბონენტი ვალდებულია დროულად გადაიხადოს მომსახურების ღირებულება, აგრეთვე სხვა სახის გადასახდელები (დამატებითი მომსახურების საფასური და სხვა).

8.2 თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, მომსახურების სააბონენტო გადასახდელი მოიცავს ოპერატორის მიერ აბონენტისათვის გაწეული მომსახურების ღირებულებას.

8.3 მომსახურებების ღირებულების გადახდა ხდება შემდგომი გადახდის სისტემით, ღირებულების გადახდა ხდება მომსახურების გააქტიურებამდა წინასწარი გადახდის პრინციპით. დამატებითი პაკეტის/არხის არჩევის შემთხვევაში, შესაბამისი ღირებულების გადახდა მოხდება პაკეტის/არხის გააქტიურებამდე წინასწრი გადახდის პრინციპით.

8.4 ანგარიშსწორება ხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების სახით. ამასთან, „აბონენტი“ მხოლოდ მაშინ არის უფლებამოსილი არასრულად გადაიხადოს „მომსახურების ღირებულება“, თუ მის ბალანსზე ირიცხება დადებითი ნაშთი. ასეთ შემთხვევაში, „აბონენტს“ მომსახურება მიეწოდება გადახდილი თანხის პროპორციულად, ბალანსის ამოწურვამდე.

8.5 თუ „აბონენტს“ შეუჩერდა „მომსახურება“ ბალანსის ამოწურვის გამო, „აბონენტმა“ ერთი თვის ღირებულების გადახდასთან ერთად უნდა გადაიხადოს ჩართვის ღირებულებაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8.6 ხელშეკრულებაში მოცემული ფასები გამოსახულია ლარში და მოიცავს დღგ-ს.

8.7 ნებისმიერი ტიპის მომსახურების ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს საქართველოს ბანკისა და თი ბი სი ბანკის სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით ან ვებ-გვერდებიდან (epay.ge და tbcpay.ge) ტელევიზიის კატეგორიაში INTER TV-ს ანგარიშზე სააბონენტო ნომრის გამოყენებით.

8.8 აბონენტის მიერ თანხა გადახდილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ჩაირიცხება (აისახება) ოპერატორის საბანკო ანგარიშზე/სააბონენტო ანგარიშზე.

8.9 აბონენტი „ფასიანი პაკეტის“ სარგებლობისთვის დარიცხული ღირებულების შესახებ დავის განხილვისას, დაეთანხმოს მხოლოდ ოპერატორის მიერ წარმოდგენილ ჩანაწერებს, თუ მარეგულირებელი ორგანოს/სასამართლოს მიერ სხვა რამ არ დადგინდება

8.10 მესამე პირთა მიერ შემოთავაზებული მომსახურების საშუალებით (სწრაფი გადახდის აპარატები, ბანკები და სხვა.) მომსახურების საფასურის ჩარიცხვისას პირობები და წესები, მათ შორის ჩასარიცხი თანხის მინიმალური ოდენობა და საფასური

განისაზღვრება ასეთი მომსახურების გამწევი მესამე პირების მიერ და სცილდება ოპერატორის პასუხისმგებლობის ფარგლებს.

8.11 აბონენტი თანახმაა სააბონენტო გადასახდელი საფასური და სხვა გადასახადები დაფაროს (გადაიხადოს) ნებისმიერმა მესამე პირმა ან/და ოპერატორმა მესამე პირისაგან მიიღოს ნებისმიერი შემოთავაზებული შესრულება აბონენტის ყოველგვარი დამატებითი თანხმობის გარეშე.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურება. მარეგულირებელი კანონმდებლობა დავების გადაწყვეტა

9.1 აბონენტი პასუხს აგებს „ხელშეკრულებით“ ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით ოპერატორისათვის მიყენებულ ზიანზე. ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს აბონენტს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

9.2 აბონენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ოპერატორისაგან პირდაპირი ზიანის ანაზღაურება, თუ ზიანი გამოწვეულია ოპერატორის მხოლოდ ბრალეული განზრახვით/მოქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით. იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოქმედი კანონმდებლობით არის დაშვებული, არცერთი მხარე არ არის პასუხისმგებელი მეორეს წინაშე არაპირდაპირი ზიანისათვის, მათ შორის, წარმოების ან საქმიანობის შეჩერების, მონაცემთა დაკარგვის, მიუღებელი სარგებელის ან სხვა არაპირდაპირი დანაკარგისათვის ან მათი შედეგებისათვის.

9.3 „ოპერატორი“ არ არის პასუხისმგებელი:

9.3.1 „აბონენტის“ მიერ ქსელში გადაცემულ ინფორმაციაზე;

9.3.2 იმ ინტერნეტ ქსელის გაუმართაობით გამოწვეულ ხარვეზებზე, რომლითაც სარგებლობს „აბონენტი“.

9.3.3 თუ „მომსახურების“ მიწოდების შეზღუდვა ან გათიშვა გამოწვეულია „აბონენტის“ კუთვნილი ტელევიზორის ტექნიკური და ფუნქციური გაუმართაობით და „აპლიკაციასთან“ შეუსაბამობით;

9.3.4 ამა თუ იმ სატელევიზიო არხის გათიშვაზე, თუ გათიშვის მიზეზი გამოწვეულია არხის სხვა სიხშირეზე, კოდირებაზე ან სატელიტზე გადასვლით; სატელევიზიო არხის დაზიანების შემთხვევაში;

9.3.5 სატელევიზიო არხის მიერ მაუწყებლობის შეწყვეტის შემთხვევაში, სატელევიზიო არხის დაზიანების შემთხვევაში;

9.3.6 „მომსახურების“ ხარისხზე, თუ ხარვეზი გამოწვეულია პროგრამული ვირუსით ან „აბონენტის“ ლოკალური ქსელის გაუმართაობით.

9.4 „აბონენტი“ აცხადებს თანხმობას, რომ ოპერატორი უფლებამოსილია ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით მიაწოდოს ინფორმაცია ახალი მომსახურებების, სერვისების, პროექტების და სხვადასხვა სახის აქტივობების შესახებ, მათ შორის, როგორც ოპერატორის, ასევე მესამე პირის „რეკლამა“, რაც არ გამორიცხავს აბონენტის უფლებას, უარი განაცხადოს ასეთი რეკლამის მიღებაზე, შესაბამისი განაცხადით.

9.5 „ოპერატორი“ არ არის პასუხისმგებელი ზარალზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა „აბონენტის“ მიერ მონაცემთა შინაარსის ან სხვა ინფორმაციის გადაცემისას „მომსახურებით“ სარგებლობის პროცესში. გარდა ამისა, „ოპერატორი“ შეუძლებელია პასუხისმგებელი იყოს ნებისმიერ ისეთ ზარალზე, რომელიც გამოწვეულია მონაცემთა ვირუსის, დაგვიანებით გადაცემის, განადგურების ან „აბონენტის“ მონაცემთა დაკარგვის შედეგად, ასევე „აბონენტის“ ბრალით მესამე პირისათვის მიყენებული ზარალის შემთხვევებზე. „ოპერატორი“ პასუხს არ აგებს „აბონენტის“ მიერ „აპლიკაციაში“ ინტეგრირებული სხვა მესამე პირების ინტელექტუალური საკუთრების ნებისმიერი ობიექტის არამართლზომიერად გამოყენებისთვის და ასეთი გამოყენების შედეგად მესამე პირების მხრიდან „ოპერატორის“ წინაშე დაყენებული პრეტენზიებისთვის.

9.6 ხელშეკრულებით და მისი დანართებით გაუთვალისწინებელი გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უპირველეს ყოვლისა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

9.7 ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა დავას, უთანხმოებას და პრეტენზიას მხარეები წყვეტენ ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, აბონენტს შეუძლია ერთჯერადად მიმართოს ოპერატორის აბონენტთა პრეტენზიების განყოფილებას.

9.8 მომსახურების პირობებთან დაკავშირებული პრეტენზიები მხარეებმა შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად. აბონენტს შეუძლია პრეტენზია ოპერატორს წარუდგინოს ზეპირად, ოპერატორის მუდმივმოქმედი ცხელი ხაზის საშუალებით, ხოლო აბონენტის წერილობითი პრეტენზია/საჩივარი შედგენილი უნდა იქნას განცხადების სახით და წარედგინოს/მიეწოდოს ოპერატორს ოფისში ან/და ელექტრონულად, ოპერატორის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ საკონტაქტო ველში. პრეტენზიაში აბონენტმა უნდა მიუთითოს ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია. პრეტენზიაში მკაფიოდ და სრულყოფილად უნდა იყოს ჩამოყალიბებული თუ რა მიაჩნია აბონენტს ოპერატორის მხრიდან არასწორ ან არასამართლიან ქმედებად, მოთხოვნა და გარემოებები, რომელსაც მოთხოვნა ეფუძნება. აბონენტის მიერ წარდგენილი პრეტენზია განხილული იქნება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

9.9 მხარეებს, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს (კომპეტენციას დაქვემდებარებულ საკითხებზე) ან საქართველოს სასამართლოს.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

10.1 ხელშეკრულება მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობის შესაბამისად შეწყვეტამდე.

10.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე:

10.2.1 ოპერატორის/აბონენტის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უხეში დარღვევისას;

10.2.2 ოპერატორის მიერ, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ აბონენტისათვის კანონმდებლობით ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ფორმით გაგზავნილი შეტყობინების მიღებიდან საამისოდ დადგენილ ვადაში აბონენტის მიერ ცვლილებებზე უარის გაცხადებისას;

10.2.3 აბონენტის მიერ, დავალიანების სრულად დაფარვისა და სხვა ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, ოპერატორის სერვის ცენტრში წერილობითი განცხადებით;

10.2.4 ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

10.3 ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ანთავისუფლებს აბონენტს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად ხელშეკრულების შეწყვეტამდე მიღებული მომსახურების საფასურის სრულად გადახდის ვალდებულებისაგან).

10.4 „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შედეგად, აბონენტის ანგარიშის გაუქმების შემთხვევაში, მის ანგარიშზე არსებული თანხა (აბონენტის მიერ დეპოზიტზე დასმული გაუხარჯავი თანხა) ინახება ხელშეკრულების შეწყვეტიდან არანაკლებ 3 წლის ვადით. აღნიშნული ვადის განმავლობაში, მომსახურების ხელახალი აქტივაციის შემთხვევაში, აბონენტს გაუხარჯავი თანხა უბრუნდება დადებითი ბალანსის სახით. სხვა შემთხვევაში (ანუ როდესაც აბონენტი არ ითხოვს ხელახალ აქტივაციას), აბონენტს თანხა დაუბრუნდება ოპერატორისათვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში, მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე (აბონენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო რეკვიზიტები ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტის სახით).

10.5 წინამდებარე „ხელშეკრულების“ შეწყვეტა ავტომატურად არ იწვევს „აბონენტსა“ და „ოპერატორს“ შორის მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების შეწყვეტას.

11. “აპლიკაციის” გამოყენებასთან დაკავშირებული აკრძალვები

11.1 „აბონენტს“ ეკრძალება:

11.1.1 “აპლიკაციის” ან მასში ინტეგრირებული ინტელექტუალური საკუთრების ნებისმიერი ობიექტის გამოყენება რაიმე სახით, გარდა ამ “ხელშეკრულებით” პირდაპირ დაშვებულისა;

11.1.2 მომხმარებელი ვალდებულია, არ დაუშვას „მომსახურების“/ „მომსახურების“ აპლიკაციის/ „ფასიანი პაკეტის“ ჩართვა საერთაშორისო ან სხვა ფასიანი ტრაფიკის არასანქცირებული გატარების ან/და ფროდის მიზნით განხორციელებულ მოქმედებებსა და სქემებში, ასევე დაიცვათ ოპერატორის ქსელთან მიერთებული ნებისმიერი აბონენტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მოწყობილობა ან/და ტექნიკური საშუალება ნებისმიერი უნებართვო შეღწევისა და გამოყენებისაგან. აბონენტი უპირობოდ აღიარებს აღნიშნული ქმედებების შედეგად, ოპერატორის მიმართ წარმოქმნილ ნებისმიერი სახის დავალიანებას ან/და მიყენებულ ზარალს;

11.1.3 „აპლიკაციის“გადამუშავება ან მის საფუძველზე ახალი აპლიკაციის ან სხვა ნებისმიერი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, რომელიც იმდენად იდენტურია მოცემული „აპლიკაციის“, რომ იგი იწვევს საზოგადოების შეცდომაში შეყვანასა და ამ აპლიკაციების ერთმანეთში აღრევას;

11.1.4 „აპლიკაციის“ სხვა ნებისმიერი მიზნითა და ფორმით გამოყენება, გარდა წინამდებარე “ხელშეკრულებით” პირდაპირ განსაზღვრული და მისი ფუნქციური დატვირთვის შესაბამისად გათვლისწინებული პირადი არაკომერციული მიზნით გამოყენებისა;

11.1.5 ნებისმიერი კანონით აკრძალული მეთოდის (მათ შორის თაღლითობის ან კიბერთავდასხმის) გამოყენებით „აპლიკაციაში“ განთავსებულ კონტენტთან არამართლზომიერი წვდომა, მათი წაშლა ან შეცვლა, „აპლიკაციაში“ აკრძალული შინაარსის შემცველი კონტენტის ან სხვა ისეთი ნებისმიერი ინფორმაციის განთავსება, რომელიც ემსახურება სხვათა პირადი ინტერესებისა და უფლებების შელახვის, ძალადობის, დისკრიმინაციის ან კანონით დაუშვებელი სხვა ნებისმიერი ქმედების წახალისებას.

12. პერსონალური მონაცემების დაცვა და დამუშავება

12.1 „აპლიკაციის“ გამოყენების მიზნით, „ელექტრონულ განაცხადში“ “აბონენტს” თავად შეჰყავს თავისი პერსონალური შემდეგი მონაცემები: სახელი/სახელწოდება, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი. ამ ქმედებით, “აბონენტი” “ოპერატორს” ანიჭებს უფლებას, შეაგროვოს, შევინახოს და დაამუშაოს მის მიერ “ოპერატორისთვის” მიწოდებული პერსონალური ინფორმაცია და „აპლიკაციის“ გამოყენების პროცესში “აბონენტის” ტელევიზორის/ელექტრონული მოწყობილობის ტიპის შესახებ “ოპერატორისათვის” ხელმისაწვდომი მონაცემები, როგორიც არის ტელევიზორის ე.წ. mac ნომერი და მასთან დაკავშირებული და “ოპერატორისათვის” ხელმისაწვდომი სხვა ინფორმაცია (შემდგომში ერთობლივად “მონაცემები”).

12.2 “ოპერატორი” აგროვებს, ინახავს და ამუშავებს მონაცემებს საქართველოს მოქმედი პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. “ოპერატორი” დაამუშავებს “აბონენტის” შესახებ მხოლოდ “აბონენტის” მიერ უშუალოდ „აპლიკაციაზე“ რეგისტრაციის პროცესში “ოპერატორისათვის” მიწოდებულ ინფორმაციას და “აბონენტის” მოწყობილობის შესახებ ინფორმაციას. “ოპერატორი” ამ მონაცემებს ინახავს და ამუშავებს „აპლიკაციისა“ და “მომსახურების” სათანადო

მიწოდების, “მომსახურების” გაუმჯობესების, სტატისტიკური, ანალიტიკური, “აბონენტთან” კომუნიკაციის, “აბონენტისათვის” მარკეტინგული, ტექნიკური და საინფორმაციო ხასიათის შეტყობინებების გაგზავნისა და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა დაშვებული მიზნებით.

12.3 “ოპერატორი” დაამუშავებს მონაცემებს ავტომატურ რეჟიმში, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, რა დროსაც “ოპერატორი” შეაგროვებს და შეინახავს მონაცემებს, დაორგანიზებს და დააჯგუფებს მათ განსაზღვრულ კატეგორიებად.

12.4 „აპლიკაციამ“ შესაძლოა გამოიყენოს ე.წ. Cookie ფაილები, რათა გაანალიზოს “აბონენტის” მიერ “აპლიკაციის” მოხმარება და უზრუნველყოს მისთვის “აპლიკაციით” უფრო ეფექტური და სწრაფი სარგებლობა. Cookie წარმოადგენს პატარა კომპიუტერულ ფაილს, რომელიც ინახავს გარკვეულ ინფორმაციას “აბონენტის” მოწყობილობის შესახებ ამავე მოწყობილობაში.

12.5 “აბონენტს” უფლება აქვს დაუკავშირდეს “ოპერატორს” ელექტრონულ ფოსტაზე intertv1974@gmail.com და მოითხოვოს ინფორმაცია “ოპერატორის” მიერ შეგროვებული “აბონენტის” მონაცემების შესახებ, ასევე მოითხოვოს მისი მონაცემების წაშლა ან ჩასწორება. “ოპერატორი” გონივრულ ვადაში დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნას და აცნობებს “აბონენტს” აღნიშნულის თაობაზე. თუმცა, მონაცემების წაშლის შემთხვევაში, “აბონენტი” ვეღარ ან შეზღუდულად ისარგებლებს “აპლიკაციითა” და “მომსახურებით”.

12.7 როგორც წესი, “ოპერატორი” მონაცემებს არ გადასცემს მესამე პირებს. “აბონენტის” მონაცემებთან წვდომა აქვთ კომპანიის უფლებამოსილ პირებს, თანამშრომლებსა და გარე კონსულტანტებს, რომლებიც იცავენ მის კონფიდენციალურობას და დადგენილი წესით დამუშავების პირობებს. “ოპერატორმა” შესაძლოა მონაცემები გადასცეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მისი მოთხოვნის საფუძველზე ან დავის ფარგლებში, მხოლოდ იმ მოცულობით, რაც საჭიროა კანონიერი მიზნის მისაღწევად.

12.7 “ოპერატორი” ამუშავებს და ინახავს მონაცემებს იმ ვადით, რაც საჭიროა ამ „ხელშეკრულებაში“ მითითებული დამუშავების მიზნების მისაღწევად, ან იმ ვადით და იმ მოცულობით, რაც სავალდებულოდ დადგენილია კანონით “ოპერატორის” მიერ ამგვარი მონაცემების დამუშავების ან/და შენახვისთვის. თუ დამუშავების მიზანი აღარ არსებობს და ამოწურულია კანონით დადგენილი მონაცემთა შენახვის ვადა, “ოპერატორი” წაშლის მონაცემებს ან შეზღუდავს მონაცემთა დამუშავებას მოქმედი სავალდებულო ნორმების შესაბამისად.

13. განცხადებები და გარანტიები

13.1 ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „აბონენტი“ ადასტურებს, რომ მას გააჩნია სრული უფლებამოსილება გააფორმოს წინამდებარე ხელშეკრულება. ასევე „აბონენტი“ აღიარებს და ადასტურებს, რომ მას მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა თუ ნებართვა, რომელიც აუცილებელია ამგვარი „მომსახურების“ მის სახელზე დასარეგისტრირებლად (გასაფორმებლად).

13.2 „ხელშეკრულება“ მასში გათვალისწინებული ვალდებულებებითა და უფლებებით ვრცელდება და სავალდებულოა შესასრულებლად „მხარეთა“ უფლებამონაცვლეებისა თუ მემკვიდრეებისათვის/ სამართალმემკვიდრეებისათვის.

13.3 „აბონენტი“ არ არის უფლებამოსილი ოპერატორის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირს გადასცეს მის მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მასზე მინიჭებული უფლება (გარდა „აბონენტის“ მიერ „მომსახურების ღირებულების“ გადახდის ვალდებულებისა).

13.4 „მხარეები“ ადასტურებენ, რომ „ხელშეკრულების“ შინაარსი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა “ხელშეკრულების” შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი აზრიდან.

13.5 „აბონენტი“ აცხადებს და ადასტურებს, რომ ის გაეცნო და ეთანხმება ხელშეკრულებას მისი დანართებითურთ, ასევე ოპერატორის მიერ „მომსახურების“ გაწევის ამ „ხელშეკრულებითა“ და მისი დანართებით გათვალისწინებულ წესსა და პირობებს. „აბონენტი“ აცხადებს, რომ შეასრულებს „ხელშეკრულების“ პირობებს;

13.6 თუ „მომსახურების“ შესაბამისი დანართის პირობებით („ხელშეკრულებით“ ან/და დანართებით) სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, „ხელშეკრულების“ გაფორმებით აბონენტი ყიდულობს მხოლოდ „მომსახურებას“ და მას საკუთრებაში არ გადაეცემა ამ „მომსახურების“ მისაწოდებლად განკუთვნილი „აპლიკაცია“ ან მისი რომელიმე ფუნქციონალი.

13.7 „აბონენტი“ აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის მისი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია და რეკვიზიტები, ზუსტია და იგი პასუხისმგებელია ამ მონაცემების/ინფორმაციის სიზუსტეზე.

13.8 ფასიანი პაკეტით“ სარგებლობის ტარიფები, მოცემულია ვებ გვერდზე: www.intertv.ge

13.9 „აბონენტი“ ვალდებულია ოპერატორს დაუყოვნებლივ აცნობოს რეკვიზიტების ცვლილების შესახებ ოპერატორის სატელეფონო ცხელ ხაზზე, დარეკვით (ოპერატორის მიერ „აბონენტის“ იდენტიფიცირებით - აბონენტის მიერ კოდური სიტყვისა დასახელებისა და „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „აბონენტის“ საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით) ან სერვის-ცენტრში წერილობითი განაცხადის საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპერატორი იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას „აბონენტის“ მისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების შედეგად წარმოშობილ ნებისმიერი სახის შესაძლო ზიანსა თუ ზარალზე.

13.10 რეგისტრაციის გავლა ნიშნავს, რომ მომხმარებელი ავტომატურად ეთანხმება წინამდებარე წესებს/პირობებს

13.11 ოპერატორს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს წინამდებარე წესები პირობები ვებ გვერდზე www.intertv.ge გამოქვეყნებით, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ მომხმარებელი ეთანხმება აღნიშნულ პირობებს

13.12 წინამდებარე „ხელშეკრულება“ აგრეთვე ხელმისაწვდომია INTER TV-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.intertv.ge და „აბონენტს“ შეუძლია ნებისმიერ დროს გაეცნოს მას.

14. მხარეთა ხელმოწერები:

კომპანია	**აბონენტი**

შპს “ინტერ თრეიდერ კომპანი“ ს/კ 405220924 მის: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჟიული შარტავას ქ., №45, ბ. 2